დიად დღესასწაულს გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

• •

გაუმარჯოს დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 31-ე წლისთავს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 90 (5640)

1976 წ. 9 მაისი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

ბრძანებულება

ამხ. ლ. ი. ბრეჟნევისთვის საბჭოთა კავშირის მარშლის მხედრული წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

საბჭოთა კავშირის მარშლის მხედრული წოდება მიენიჭოს სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.
1976 წლის 7 მაისი.

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი ზ. ჯაფარიძე კიევიდან ტელეფონით გვატყობინებს

ქართველი ფალავნებისგან მეტს ველოდით

ევროპის ძიუდოისტთა ჩემპიონატის მეორე დღე — 7 მაისი — საბჭოთა სპორტსმენებმა ისევ წარმატებით დაიწყეს. მოსალოდნელი იყო, რომ სამივე წონით კატეგორიაში (მსუბუქი, ქვესაშუალო, აბსოლუტური) ასპარეზობა მასპინძლების სრული ტრიუმფით დამთავრდებოდა, მაგრამ ეს ვარაუდი მთლიანად არ გამართლდა: ერთ წონაში ჩემპიონის ტიტული სხვა ქვეყნის წარმომადგენელმა მოიხვეჭა.

მსუბუქ წონით კატეგორიაში ორივე საბჭოთა მოჭიდავემ ო. ზურაბიანმა და ა. ობგაიძემ გამარჯვებით დაიწყეს ტურნირი. ობგაიძემ ჯერ ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი ვერნერი (გდრ) დაამარცხა ქულებით, შემდეგ — პოლონელი ლისკოვსკი, მაგრამ მესამე წრეში მოულოდნელად წმინდად წააგო ფრანგ ალქიზისთან.

შეხვედრას შეხვედრაზე იგებდა ზურაბიანი. მისი პირველი მეტოქე უნგრელი სოლარი იყო. 6 წუთის მანძილზე ზურაბიანი გამუდმებით უტევდა, ქულას ქულაზე აგროვებდა, მისი მეტოქე კი ტატამიდან გარბოდა. ბოლოს ზურაბიანმა საწადელს მიაღწია: მეტოქეს წმინდად სძლია.

ქართველ ძიუდოისტს უფრო გაუჭირდა ინგლისელ ალექსანდერთან ორთაბრძოლა. ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ მეტოქეები თანაბარი სიძლიერისა იყვნენ. ალექსანდერი სწრაფად მოძრაობდა და მეტოქეს შეტევის საშუალებას არ აძლევდა. ზურაბიანმა შერკინების ბოლოს მაინც „დაიჭირა ფანდზე" მეტოქე და ქულებით გაიმარჯვა.

ერთი წუთიც არ იყო გასული ზურაბიანისა და დელვენის ჭიდილის დაწყებიდან, რომ ქართველ ათლეტს უკვე 2 ქულა ჰქონდა მარაგში. მერე ამ ნადავლს მან ერთი იუკოც დაუმატა, გაიმარჯვა და ფინალში გავიდა.

მეორე ჯგუფიდან გადამწყვეტ ბრძოლაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა უნგრელმა ი. ტუნჩიკმა. ფინალის პირველი 3 წუთი უნგრელის უპირატესობით აღინიშნა: მან ორჯერ სახიფათო მდგომარეობაში ჩააყენა ქართველი ძიუდოისტი და რამდენიმე ქულა მიიღო. შემდეგ ზურაბიანმა ტაქტიკა შეცვალა და ფეხებში შევარდნით ორჯერ ტატამზე დაანარცხა მეტოქე, მაგრამ არბიტრმა რატომღაც არ მისცა მას მომგებიანი ქულა. გაიმარჯვა უნგრელმა. ზურაბიანს ვერცხლის ჯილდო ხვდა.

ქვესაშუალო წონაში შეუდარებელი იყო საბჭოთა სპორტსმენი ვ. დვოინიკოვი, რომელმაც ყველა შეხვედრა წმინდად მოიგო და პირველად გახდა კონტინენტის ჩემპიონი.

ევროპის აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისთვის სხვებთან ერთად იბრძოდა ორი საბჭოთა სპორტსმენი ჯ. ნიჟარაძე და ა. კაზაჩენკოვი. ორივემ წარმატებით დაიწყო გამოსვლა ჯგუფებში. ნიჟარაძის პირველი მეტოქე იყო ჰოლანდიელი გიგანტი ადელაარი, რომელიც ქართველ ფალავანზე წონითაც და სიმაღლითაც მეტი გახლავთ. ამის მიუხედავად, ნიჟარაძემ მაინც შეძლო მეტოქისთვის საკუთარი სტილი მოეხვია თავს, აშკარად დაჯაბნა იგი და ქულებით გაიმარჯვა. ნიჟარაძის შემდეგი მეტოქე იყო რუმინელი კოდრიანუ. ქართველმა ფალავანმა კარგად იჭიდავა, ორჯერ კრიტიკულ მდგომარეობაში ჰყავდა მეტოქე და ბოლოს გაიმარჯვა კიდეც. უნგრელმა იპაჩმაც ვერ გაუძლო ნიჟარაძის მძლავრ შეტევებს და ფარ-ხმალი დაყარა ...

ნიჟარაძე და ჩეხოსლოვაკიელი ნოვაკი ... პირველ წუთებში ტატამზე თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა, მეტოქეებმა ვერ მოახერხეს სრულფასოვანი ილეთის ჩატარება. ერთ მომენტში ტატამის მსაჯმა შერკინება შეაჩერა და ნიჟარაძეს ჭეი-კოკუ მიუსაჯა (მეორედ გააფრთხილა პასიურობისთვის). ამ მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ ააღელვა ქართველი ათლეტი, რომელმაც ვერა და ვერ შეძლო მეტოქის მოთოკვა, ილეთის ჩატარება, თუმცა კი ნოვაკი არც ტატამიდან გაქცევას თაკილობდა. საბოლოოდ გაიმარჯვა ნოვაკმა. ნიჟარაძეს ბრინჯაოს მედალი ერგო, მას შემდეგ, რაც გდრის წარმომადგენელ კოჰლს ერთ წუთში წმინდად მოუგო.

ფინალურ ბრძოლაში კაზაჩენკოვმა დამაჯერებლად სძლია ნოვაკს.

პრიზიორები

საბჭოთა ძიუდოისტებისთვის ასეთი ბარაქიანი ევროპის არც ერთი ჩემპიონატი არ ყოფილა. ოქროს მედლები მიიღო ოთხმა ათლეტმა (ვ. დვოინიკოვი, თ. ხუბულური, ს. ნოვიკოვი და ა. კაზაჩენკოვი). ამას გარდა, საბჭოთა მოჭიდავეები დაჯილდოვდნენ ორი ვერცხლისა (ო. ზურაბიანი, გ. ონაშვილი) და ორი ბრინჯაოს (ა. სპიროვი და ჯ. ნიჟარაძე) მედლით.

მაგრამ ტურნირი ჯერ არ დამთავრებულა. წინაა გუნდური ასპარეზობა, სადაც სპორტსმენებს მედლების კიდევ 3-3 კომპლექტი ელით.

დღეს ჩვენ გთავაზობთ პირად პირველობაში საპრიზო ადგილებზე გასულ სპორტსმენთა გვარებს:

63 კგ. 1. ტუნჩიკი (უნგრეთი), 2. ზურაბიანი (სსრ კავშირი), 3. ალქიზი და დელვენი (ორივე — საფრანგეთი).

70 კგ. 1. დვოინიკოვი (სსრ კავშირი), 2. ჰეტბერი (გდრ), 3. სპიროვი (სსრ კავშირი) და ტალაი (პოლონეთი).

80 კგ. 1. კოში (საფრანგეთი), 2. ადამჩიკი (პოლონეთი), 3. ულჩი (გდრ) და რეიტერი (პოლონეთი).

93 კგ. 1. ხუბულური (სსრ კავშირი), 2. ვან დე ვილი (ბელგია), 3. ჟუველა (იუგოსლავია) და შნაბელი (გფრ).

მძიმე. 1. ნოვიკოვი, 2. ონაშვილი (ორივე — სსრ კავშირი), 3. პეტროვსკი (უნგრეთი) და ლიუჩიჩი (იუგოსლავია).

აბსოლუტური. 1. კაზაჩენკოვი (სსრ კავშირი), 2. ნოვაკი (ჩეხოსლოვაკია), 3. ნიჟარაძე (სსრ კავშირი) და კოვაჩევიჩი (იუგოსლავია).

იმედიანი მომავალი

„განთიადის" აჭარის საოლქო საბჭოს (თავმჯდომარე ვ. კვაჭაძე) თაოსნობით ჩატარდა საქალაქთაშორისო ტურნირი ბალახის ჰოკეიში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის „ბურევესტნიკი", ქუთაისის „ლოკომოტივი", ბათუმის „განთიადი", ბაქოს და ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტების კოლექტივები. შეჯიბრება წრიული სისტემით, ერთ წრედ ჩატარდა.

ბოლო ტურის წინ ოთხ გუნდს 4-4 ქულა ჰქონდა.

თბილისის „ბურევესტნიკის" ჰოკეისტებმა ანგარიშით 1:0 დაამარცხეს ბათუმის „განთიადი" და I ადგილი დაიკავეს. II და III ადგილებზე გავიდნენ ქუთაისისა და ბაქოს წარმომადგენლები.

ბათუმელი ჰოკეისტები, მართალია, ბოლო, V ადგილს დასჯერდნენ, მაგრამ ამ ახალგაზრდულმა კოლექტივმა, რომელსაც წვრთნიან რ. ლაზიშვილი და ნ. შანიძე, ბევრი ახალბედა ჩააბა სპორტის ამ სახეობაში და ჩვენ გვჯერა, რომ ბათუმელი ჰოკეისტები მომავალში ღირსეულ მეტოქეობას გაუწევენ მოწინააღმდეგეებს.

გამარჯვებული გუნდი სამახსოვრო თასითა და პირველი ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

მშობლიურ ქალაქში

დნეპროძერჟინსკი, 8 მაისი. დღეს აქ, ოქტომბრის მოედანზე მოეწყო მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირის გმირის, სოციალისტური შრომის გმირის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ბრეჟნევის ბრინჯაოს ბიუსტის გახსნას მის მშობლიურ ქალაქში.

გუშინწინ თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე დამთავრდა „საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის" გათამაშება სპრინტში. ყველას აჯობა ა. იაბლუნოვსკიმ.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: გამარჯვებული სპორტსმენი (ცენტრში) მთავარი პრიზით ხელში. მარცხნივ — ტურნირის მეორე პრიზიორი ვ. სემენეცი; მარჯვნივ — III ადგილზე გასული ა. ვორონინი (ყველა — სსრ კავშირი).

ი. თუნაევის ფოტო.

●

(შეჯიბრებისადმი მიძღვნილი მასალა (ი. მე-2 გვ.).

გუნდურ ჩათვლაში — II ადგილზე

ულან-უდეში გაიმართა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ჭაბუკთა პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის ათლეტებიც მონაწილეობდნენ.

70 კგ წონაში საქართველოს წარმომადგენელმა მ. პოღოსიანმა I ადგილი მოიპოვა. II საპრიზო ადგილებზე გავიდნენ ნ. ნადარეიშვილი (65 კგ), ნ. ბოჭორიშვილი (70 კგ) და დ. გავაშელი (75 კგ). მესამე პრიზიორია რ. ჯინიკაშვილი (48 კგ).

გუნდურ ჩათვლაში ჩვენს მოჭიდავეებს II ადგილი ხვდათ რსფსრ-ს ათლეტების შემდეგ.

დაკომპლექტდა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ნაკრები, რომელშიც საქართველოს სპორტსმენებიც შევიდნენ.

გ. ამირხანოვი.

რამდენიმე სტრიქონით

◆ გურჯაანი

ჩატარდა საქართველოს მოსწავლეთა ზონალური შეჯიბრება კალათბურთში. ჭაბუკებში გაიმარჯვეს თელავის, გოგონებში — [illegible]ეტის მოსწავლეებმა. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ, აგრეთვე, გურჯაანის, ყვარლის, წითელი წყაროს, საგარეჯოს რაიონების ჭაბუკთა და გოგონათა გუნდები.

გ. ელიოზიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა გზა მონრეალში მიდის

რა უფრო საჭიროა სპრინტერისთვის — ძალა, სისწრაფე თუ ტაქტიკური აზროვნების უნარი? იდეალური ველოსიპედისტი, ცხადია, სამივე თვისებას უნდა აერთიანებდეს თავის თავში. მაგრამ ბუნება, სამწუხაროდ, იშვიათად ქმნის სპორტსმენის ასეთ სრულყოფილ მოდელს. ამიტომ ყველა ისე გადის ფონს, როგორც ეხერხება — ზოგი ფიზიკური ძალის ხარჯზე, ზოგი სისწრაფის წყალობით, ზოგიც ტაქტიკური აზროვნების უნარით.

მახსენდება 40-50-ანი წლების შესანიშნავი საბჭოთა სპრინტერი ი. იპოლიტოვი. სპორტული კარიერის მიწურულს მას არც სისწრაფე ჰქონდა დიდი და არც ფიზიკური ძალა. იგი ასაკში იყო შესული, მაგრამ ყველა საკავშირო შეჯიბრებას ადვილად იგებდა, ვინაიდან ზებუნებრივი ტაქტიკური ალღოთი იყო დაჯილდოებული.

ესე იგი, სპრინტში მთავარი ყოფილა საღი აზროვნების უნარი, რასაც სპორტის ენაზე ტაქტიკა ჰქვია. ალბათ ასეცაა, მაგრამ...

აი, კიდევ ერთი მაგალითი ჩვენი ველოსპორტის უახლოესი წარსულიდან. ერთადერთ საბჭოთა სპრინტერს, რომელიც ამაღლდა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულამდე და რომელიც წლების მანძილზე ღირსეულ მეტოქეობას უწევდა თვით დ. მორელონს, ო. ფხაკაძეს არც ძალა აკლდა, არც სისწრაფე და არც ტაქტიკური ალღო. ფხაკაძე ბატონობდა საბჭოთა სპრინტში, მაგრამ მას არასდროს გამოუყენებია ეს სამივე თვისება ერთად. წარმატებისთვის ერთიც ჰყოფნიდა.

ფხაკაძე სამამულო სპრინტის ისტორიაში განუმეორებელი მოვლენაა. მან მთელი თავისი კარიერა სისწრაფის ხარჯზე შექმნა, სხვა თვისებების გამოყენებას კი მხოლოდ ექსპერიმენტის სახით მიმართავდა. მას ამის უფლება ჰქონდა. სხვებს კი, იმიტომ, რომ არ არიან ფხაკაძეები, ეს უფლება წართმეული აქვთ.

და მაინც, განსაკუთრებით პასუხსაგებ სიტუაციებში, თუ კი ძალები დაახლოებით თანაბარია, ტაქტიკაზე მძლავრი იარაღი არ არსებობს.

როცა თბილისელმა ოსტატმა ი. ვოლკოვმა „საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის“ გათამაშებაში სპრინტერთა შეჯიბრების მერვედფინალში გაიკაფა გზა, მისი მისია ყველამ შესრულებულად ჩათვალა. მაგრამ მადა ჭამაში მოდის და კიდევ ერთი გამარჯვების მოლოდინმა, რომელიც ახალგაზრდა ველოსიპედისტს ადგილს მისცემდა მეოთხედფინალში, აიტაცა ტრიბუნებიც და, ასე გასინჯეთ, მსაჯთა კოლეგიაც.

ვოლკოვს არავითარი უპირატესობა არ ჰქონდა მეტოქეებთან შედარებით, ფიზიკური ძალა, კი, ალბათ, ნაკლებიც. მაგრამ სხვებისგან განსხვავებით მან ყველა შემდგომი რბოლა ტაქტიკური ვარიანტების მონაცვლეობით წარმართა და ბოლოს მოწინავე ოთხეულში ამოჰყო თავი. ასე მოიგო ორივე მეოთხედფინალური სერია გამოცდილ ზ. შრაიბერთან და ასე დაამარცხა პირველ ნახევარფინალურ ცდაზე თვით ოლიმპიური ჩემპიონი (ტანდემებით რბოლაში) ვ. სემენეცი.

ვოლკოვს ამ საინტერესო სერიებში ძალაც ეყო და სისწრაფეც (მისი შედეგი ბოლო 200 მეტრზე — 11,17 წამი დიდხანს საუკეთესო იყო), მაგრამ წარმატება მაინც სწორმა ტაქტიკურმა გეგმამ მოუტანა. სემენეცი მხოლოდ პირველი წაგების შემდეგ მოვიდა გონს. იგი მიხვდა, რომ მხოლოდ ფიზიკურ მონაცემებზე დაყრდნობა ხელს არ მისცემდა და მაქსიმალურად აამოქმედა თავისი ტაქტიკური ვარიანტების ლაბორატორია. გამოცდილება კი მას მართლაც დიდი აქვს და ორ მომდევნო ცდაზე გატეხა ახალგაზრდა მეტოქის ნებისყოფა.

ამის შემდეგ ვოლკოვთან აღარავინ ხუმრობდა. ალბათ ამიტომაც წააგო მან ორი ფინალური სერია ა. ვორონინთან და საბოლოოდ IV ადგილს დასჯერდა, მაგრამ ეს შედეგიც ახალგაზრდა სპრინტერის დიდი გამარჯვებაა. IV ადგილი ჯერ მარტო სსრ კავშირის ნაკრების ექვს ღირსეულ კანდიდატთან ბრძოლაში, რომ აღარაფერი ვთქვათ ბევრ სახელმოხვეჭილ უცხოელზე (პირველ ყოვლისა კი მსოფლიოს 1974 წლის ჩემპიონზე, ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელ ა. ტკაჩზე, რომელსაც ვოლკოვმა წინასწარ შეჯიბრებებში მოუგო და „სოციალისტური ქვეყნების დიდი პრიზის“ მფლობელზე, პოლონელ ბ. კოცოტზე, რომელიც მან მერვედფინალში დაამარცხა), მრავლისმეტყველი ფაქტია. იგი ამავე დროს ახალგაზრდა ველოსიპედისტის კარგ შესაძლებლობებზე მეტყველებს.

სწორი ტაქტიკა სპრინტში რამდენიმე მარტივი ვარიანტისგან დგება. ერთია, როცა რბოლას პირველი პოზიციიდან ამთავრებ. სხვაა, როცა მეტოქეს მეორე პოზიციიდან უტევ და ცდილობ ეს ხელსაყრელი მდგომარეობა ზედ ფინიშზე რეალურ ძალად აქციო. პირველი ვარიანტი უფრო მეტად ძალას მოითხოვს, მეორე — სისწრაფეს. ორივე ერთად კი ტაქტიკაა, რომელსაც სპორტსმენი იყენებს ამა თუ იმ კონკრეტული სიტუაციის შესაბამისად.

ა. იაბლუნოვსკიმ — დიდი პრიზის მთავარმა პრეტენდენტმა და საბჭოთა სპრინტერების დღევანდელმა აღიარებულმა ლიდერმა თბილისში ყველა რბოლა მეორე პოზიციიდან მოიგო. ეს მისი საყვარელი და უკვე ნაცადი ტაქტიკური სქემაა. მაგრამ სემენეცთან ბოლო ფინალურ სერიაში მან ყველასთვის მოულოდნელად დათმო მეორე პოზიცია და შეტევა პირველიდან წამოიწყო. ეს ერთგვარი ექსპერიმენტი იყო, რომელმაც ფავორიტს, ამის მიუხედავად, მაინც მოუტანა გამარჯვება, თანაც, რაც ყველაზე საგულისხმოა, ტურნირის საუკეთესო შედეგი ბოლო, 200-მეტრიან მონაკვეთზე სწორედ ამ დროს აჩვენა — 10,75. ეს ფაქტი თითქოს აბათილებს ჩვენს მიერ ზემოთ გამოთქმულ აზრს, მაგრამ არ დაგავიწყდეთ, რომ იაბლუნოვსკი დღეს უახლოვდება სპრინტერის იდეალს და, მაშასადამე, მასზე ჩვეულებრივი კანონები არ ვრცელდება.

მაშ ასე, „საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზი“ მიიღო ღირსეულთა შორის ღირსეულმა. ალბათ ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან იაბლუნოვსკი დღეს მსოფლიო სპრინტის ერთ-ერთი ლიდერია. ჩვენ უფრო მეტად გაგვიკვირდა უცხოეთის ველოსიპედისტთა წარუმატებლობა, პირველ ყოვლისა კი იმათი, ვისგანაც მონრეალის ტრეკზე გარკვეულ სიტყვას ელიან. მაგრამ, როგორც ირკვევა, ყველაფერს აქვს თავისი დრო, ადგილი და ზემოხსენებულ სპრინტერთა სამზადისიც მიმდინარეობს ისეთი გრაფიკით, რომელიც სპორტული ფორმის ზენიტს ივლისისთვის ვარაუდობს. და, თუ ეს ასეა, თბილისის ტურნირი ამ სამზადისის ერთ-ერთ ციკლად უნდა მივიჩნიოთ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ წლეულს ყველა გზა მონრეალში მიდის.

სპრინტერთა ამ მთავარი ტურნირის გარდა, ჩვენს ველოტრეკზე ჩატარდა სხვა საინტერესო შეჯიბრებებიც, რომლებშიც საბჭოთა სპორტსმენების გარდა უცხოელებმაც მიიღეს მონაწილეობა.

ერთ-ერთი ასეთი შეჯიბრება იყო გიტი 1000 მეტრზე ადგილიდან. სტარტზე გამოვიდა 21 მონაწილე, მათ შორის გდრ-ის, ბულგარეთის, პოლონეთის, უნგრეთის, იტალიის ველოსიპედისტებიც. გამარჯვების ყველაზე დიდი შანსი ჰქონდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს ე. რაპს (სსრ კავშირი). მან მართლაც ბრწყინვალე შედეგი აჩვენა (1.07,40), მაგრამ საუკეთესო მაინც არ იყო. I ადგილი დაიკავა გდრ-ის წარმომადგენელმა ლ. ტომსმა — 1.07,23. მას გადაეცა „ლელოს“ რედაქციის სპეციალური პრიზი გიტში გამარჯვებისთვის.

გაიმართა, აგრეთვე, 4 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლა. გაიმარჯვა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ჩემპიონმა ა. პეროვმა — 4.54.67.

ახლა კი გთავაზობთ სპრინტერთა მთავარი ტურნირის საბოლოო შედეგებს: 1. ა. იაბლუნოვსკი, 2. ვ. სემენეცი, 3. ა. ვორონინი, 4. ი. ვოლკოვი, 5. ვ. კოპილოვი (ყველა — სსრ კავშირი), 6. ზ. შრაიბერი (გდრ), 7. ო. გუძიმი, 8. ს. კომელკოვი (ორივე — სსრ კავშირი).

ნ. გუგუშვილი.

* * *





სურათებზე: „ლელოს“ პრიზის მფლობელი ლოტარ ტომსი (გდრ); სპრინტერთა ფინალური რბოლის მონაწილენი ფინიშზე; წინ ანატოლი იაბლუნოვსკია. მას ოდნავ ჩამორჩება ვლადიმერ სემენეცი. რ. იუნაევის ფოტოები.

მათი არდავიწყებისა იყოს

დაჭრილი მეომრის ნაამბობი

— ვიწრო ბილიკით მიმავალნი ფრიალო კლდეზე გადმოშვერილ ყინულოვან აივანზე შევჩერდით, — დაიწყო საწოლზე წამომჯდარმა დაჭრილმა და პალატაში მყოფთ გადმოგვხედა. როცა დარწმუნდა, რომ გულისყურით ვუსმენდით, განაგრძო:

— წინსვლა აუცილებელი იყო. მტერი მთის მეორე მხარეზე გამაგრებულიყო. გერმანელ სნაიპერებს ნიშანში ჰქონდათ ამოღებული ყინულოვანი აივნის გასასვლელი, სადაც ჩიხში ვიყავით გამომწყვდეული. წინ სიკვდილი იყო, უკან გაბრუნება კი ღალატს უდრიდა. გარბენით გასვლა ვცადეთ, მაგრამ ტყვიით განგმირული ჩვენი ჯარისკაცი უფსკრულში გადაიჩეხა.

წინსვლა შეუძლებელი იყო... სხვა გზაც არ ჩანდა.

ათასეულის მეთაური ჩაფიქრდა.

არმიის შტაბი ჩვენი ათასეულისგან მაღლობიდან მტრის განდევნას და ჩვენი მებრძოლებისთვის სამოქმედო პლაცდარმის შექმნას მოითხოვდა. აქამდე უდანაკარგოდ, შეუმჩნევლად მოვაღწიეთ, ახლა კი...

— ამხანაგო მაიორო, — მიმართა მეთაურს მუდამ მშვიდმა და აუღელვებელმა ქართველმა სერჟანტმა, აქამდე ყველაფერს ყურადღებით რომ ათვალიერებდა და მიდამოს გულდასმით ზვერავდა. — ნება მომეცით, მოვსინჯო! — თქვა და ყინულოვან კლდეზე ანიშნა: — ვნახოთ, იქნებ იქიდან შემოვუაროთ!

— ეგ შეიძლება, მაგრამ... იქ როგორ შეიძლება მოვხვდეთ?

სერჟანტი ცოტა ხანს რაღაცას უხსნიდა და უმტკიცებდა მაიორს, თან პიტალო კლდეს გაჰყურებდა.

— ნეტავი რას თხოულობს „გენაცვალე“? — აწრიალდნენ ჯარისკაცები. „გენაცვალეს“ მოუსვენრობა ჩვენც გადმოგვედო.

ათასეულის მეთაურმა ოცმეთაურები იხმო. ცოტა ხნის შემდეგ ოცეულის მეთაური მოგვიბრუნდა და ქამრების შეხსნა გვიბრძანა.

„გენაცვალეს“ წინ ქამრების გროვა დადგა. სერჟანტი ოცმეთაურებს ქამრების ერთიმეორეზე გადაბმას ასწავლიდა... ჩვენ დიდი ინტერესით ვუყურებდით. „გენაცვალე“ ყველას გამოეყო, ზურგჩანთა გახსნა, მაშველი თოკი ამოიღო, მკლავზე სარეცხის თოკივით აიხვია, მერე ძირს დააგდო, ერთი წვერი წელზე შეიბა, ხელში პატარა ნიჩაბი აიღო და ყინულოვან კლდეს შეება.

იგი რკინის პალოს თავს ზემოთ, ყინულში ასობდა, ზედ თოკს ამაგრებდა, მერე მაღლა აიწევდა, მეორე პალოს ჩაასობდა, თოკს გადაიხვევდა, ნიჩბით საფეხურს გამოტეხდა და ასე ნელ-ნელა, თანდათანობით, სულ უფრო და უფრო ზევით მიიწევდა. სერჟანტმა დაახლოებით სამი საათი მოანდომა ყინულოვან კლდესთან ჭიდილს. მამაცი მთამსვლელის ოსტატობას გარინდებული შევყურებდით.

„გენაცვალე“ რამდენიმეჯერ დაცურდა და, თოკი რომ არა, უფსკრულში გადაიჩეხებოდა. კლდის ძირში მდგომი მეთაურები სერჟანტის მითითებულ საქმეს განაგრძობდნენ: ქამრებს ერთიმეორეზე მჭიდროდ აბამდნენ და კიბეს კრავდნენ.

თოკი თანდათან ილეოდა.

ნეტავ ეყოფა? — ვფიქრობდით ჩვენ. ერთი მეთაური ოსტატურად დახვეულ თოკს უთვალთვალებდა, რომ არ აბურდულიყო.

როგორც იქნა, აილია კლდე. სერჟანტი წამოდგა და მისალმების ნიშნად მუჭი აღმართა — სალუტი, სალუტიო, გადმოგვძახა. მერე მეთაურებს ქამრების კიბეზე ანიშნა. კიბე თოკს მიაბეს. სერჟანტმა იგი კლდის წვერზე საიმედოდ დაამაგრა, მერე კი ჩვენც სათითაოდ აგვიყვანა. თოფი არ გაგვისვრია, მტერს მოულოდნელად ისე მოვექეცით ზურგში. ფაშისტების ნაწილი კლდეებში გადაიჩეხა, ნაწილი კი ტყვედ დაგვნებდა.

არმიის შტაბის დავალება შესრულებული იყო.

— სერჟანტი იოსებ ძაგანია მთავრობის ჯილდოზე წარადგინეს, — დაასრულა თხრობა ჩვენმა მეზობელმა.

ნაამბობმა ფიქრების ბურუსში გამხვია. მე ვიცნობდი იოსებ ძაგანიას და გაგონილი მქონდა, რომ...

— მერე? იოსებ ძაგანია რა იქნა? — ვკითხე აღელვებულმა.

— რაო, იცნობდი?

— თქვენებურია?

დამაყარეს შეკითხვები დაჭრილებმა.

— თქვი, რატომ გაჩუმდი? — მკითხა მთხრობელმა.

— ვიცნობდი, იოსებ ძაგანია თბილისელი იყო, ნამდვილი ვაჟკაცი.

— როგორ თუ იყო!

ყველაფერი ვუამბე, რაც გამეგონა მის შესახებ. ბოლოს ისიც დავსძინე, შინ დაღუპული ჰგონიათ-მეთქი.

— არა, ეგ შეუძლებელია! — გულუბრყვილოდ მიმტკიცებდა დაჭრილი, სერჟანტის გმირობის ამბავი რომ გვიამბო. — ისეთი მამაცი, უშიშარი და საზრიანი მებრძოლი არ შეიძლებოდა დაღუპულიყო.

ვაი, რომ შეუძლებელი არა იყო რა და მისი დაღუპვის ამბავი სინამდვილე აღმოჩნდა.

იოსებ ძაგანია თბილისელი იყო. იგი ჯერ 34-ე (ახლანდელი 65-ე), შემდეგ კი 21-ე (ახლანდელი 68-ე) საშუალო სკოლებში სწავლობდა. კავკასიისთვის ბრძოლებში დაიღუპა. მშობლიურ მთებში სიარულში ისე იყო გაწაფული, ნამდვილ მთამსვლელს ტოლს არ დაუდებდა.

ჰ. მედლიძე,
ომის ვეტერანი.

უახლოეს მეტოქეს 2 ქულით აჯობა

ჟილინი, 6 მაისი. ჩეხოსლოვაკიის ამ ქალაქში დამთავრებულ საერთაშორისო ტურნირში შესანიშნავ წარმატებას მიაღწია თბილისელმა საერთაშორისო ოსტატმა თამაზ გიორგაძემ, რომელმაც დაუმარცხებლად მოიპოვა პირველი პრიზი: 8 პარტია მოიგო, 5 ყაიმით დაასრულა და, ამრიგად, 10,5 ქულა მოაგროვა 13 შესაძლებლიდან. თბილისელმა მოჭადრაკემ 2 ქულით აჯობა უახლოეს მდევარს.

დაწინაურდა ნანა ალექსანდრია

ბუდაპეშტი, 7 მაისი. მოჭადრაკე ქალთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში 9 ტურის შემდეგ მოეწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად. თბილისელმა საერთაშორისო ოსტატმა ნანა ალექსანდრიამ მოიგო გადადებული პარტია, რის შემდეგაც 7,5 ქულა დაუგროვდა და ერთპიროვნული ლიდერი გახდა.

მასპინძელთა წარმატება

ვრნიაჩკა-ბანია, 7 მაისი. ამ „საჭადრაკო აგარაკზე“ დამთავრდა ვაჟთა ტრადიციული შეჯიბრება. წარმატებას მიაღწიეს მასპინძლებმა — იუგოსლაველმა საერთაშორისო ოსტატებმა რაიჩევიჩმა და რაიკოვიჩმა. მათ 10,5-10,5 ქულა მოაგროვეს 15-დან და I-II ადგილები გაიყვეს.

III საპრიზო ადგილზეც იუგოსლაველი ოსტატი მახოვიჩი გავიდა — 9,5 ქულა.

შეჯიბრებაში თბილისელი საერთაშორისო დიდოსტატი ედუარდ გუფელდიც მონაწილეობდა. მან 9 ქულა დააგროვა და IV-V ადგილები გაიყო ბულგარელ საერთაშორისო ოსტატ სპასოვთან.

კარგი მასპინძლები

გორში გაიმართა საქართველოს მოსწავლეთა პირად-გუნდური პირველობა ძიუდოში. ასპარეზობაში მონაწილეობდა 23 ქალაქისა და რაიონის 200-მდე ნორჩი ათლეტი.

გუნდური გამარჯვება შეჯიბრების მასპინძლებს (მწვრთნელი შ. მელაძე) ხვდათ. II ადგილზე გავიდნენ თბილისელი, ხოლო III — დუშელი ძიუდოისტები.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს თიანეთის, ლენტეხის, ზესტაფონის, წითელი წყაროს და მესტიის რაიონების გუნდებმაც. ეს იმას ნიშნავს, რომ იქაური სპორტის მესვეურები ჯეროვან ყურადღებას უთმობენ ძიუდოს განვითარებას. სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით სამხრეთ ოსეთის, აჭარისა და აფხაზეთის სპორტის თავკაცებზე. სამხრეთ ოსეთის გუნდი მთლიანად დაკომპლექტებული იყო ლენინგორელი მოსწავლეებით, აჭარის გუნდი კი — ქობულეთელი ძიუდოისტებით. რაც შეეხება აფხაზეთს, მას საერთოდ არ გამოუგზავნია გუნდი.

მაყურებლები მოხიბლეს დუშელმა მოჭიდავეებმა ნ. გრიგოლაშვილმა და ბ. მარწყვიშვილმა. კარგი შთაბეჭდილება დატოვეს გორელებმა თ. დონგუზაშვილმა და გ. ტიელიძემ, მესტიელებმა ბ. ფირცხელანმა და ს. მარგველანმა, თიანეთელმა ვ. ბიჩინაშვილმა...

აღსანიშნავია ისიც, რომ ნორჩ სპორტსმენებს ტურნირის ორგანიზატორებმა ნორმალური ასპარეზობისთვის ყველა პირობა შეუქმნეს. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით გორის განათლების განყოფილებას და ბავშვთა სპორტსკოლის დირექციას.

გთავაზობთ ჩემპიონთა გვარებს: ვ. ბიბილაშვილი (გორის რაიონი), ვ. ბიჩინაშვილი (თიანეთი), ნ. მუხიაშვილი (თბილისი), ე. ბერუაშვილი, თ. დონგუზაშვილი (ორივე — გორი).

ი. იმერლიშვილი,
სპორტის ოსტატი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

გორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტარტი გისურვებთ, რეგბისტებო!

რეგბისტთა წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატი ხანგრძლივობის მხრივ სარეკორდო იქნება: უმაღლესი ლიგის გუნდები 9 მაისიდან 3 ოქტომბრამდე იასპარეზებენ. არა, გუნდების რაოდენობა უცვლელი დარჩა: „ფილი" (მოსკოვი), კიევის სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტის გუნდი, „ლოკომოტივი" (მოსკოვი), ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის კოლექტივი (მოსკოვის ოლქი), „სლავა" (მოსკოვი), „ივერია" (თბილისი), „ავტომობილისტი" (მოსკოვი), „ლოკომოტივი" (თბილისი). ამ გუნდების გარდა, ჩემპიონატში მონაწილეობენ „ახალბედებიც" — კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტი და ყაბარდო-ბალყარეთის უნივერსიტეტი (ნალჩიკი).

მაგრამ ოვალური ბურთის ოსტატთა წლევანდელი სეზონი მაინც განსხვავებულია. ესაა ევროპის პირველობაში სსრ კავშირის ნაკრების დებიუტის სეზონი. ჯერჯერობით საბჭოთა გუნდი ფირა-ს (რეგბის საერთაშორისო ფედერაცია) თასისთვის არ იბრძოლებს. იგი „ბ" ჯგუფშია და საფუძველი გვაქვს, რომ ამ ტურნირში მის წარმატებას ველოდეთ.

ევროპის ჩემპიონატის პირველ მატჩებს სსრ კავშირის ნაკრები ოქტომბერში ჩაატარებს. მანამდე მას ელის სერიოზული საერთაშორისო შეჯიბრებები — გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის" პრიზზე (8-14 აგვისტო, ლვოვი), ტრადიციული ტურნირი ბულგარეთში (19-22 სექტემბერი, ვარნა). ელიან, რომ ლვოვში ჩამოვლენ რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის ძლიერი გუნდები.

ნაკრების კლასს, რასაკვირველია, ქვეყნის ჩემპიონატის ლიდერთა კლასი განსაზღვრავს. ბოლო ოთხი წელია პირველობას შედარებით იოლად იგებს მოსკოვის სპორტკლუბი „ფილი". ეს გუნდი ძალიან სტაბილურად თამაშობს. ომის შემდგომი ცხრა ჩემპიონატიდან ხუთში გამარჯვება მას დარჩა. ამასთან, ჩემპიონთა კოლექტივში ახლაც თამაშობენ ბორის გავრილოვი (მოთამაშე მწვრთნელი), ბორის ივაშოვი, იური კიიანოვი, იური ლიხაჩოვი, ევგენი ისიანოვი, ანატოლი ვანიუშკინი, რომელთაც თავიანთს კოლექციებში ხუთხუთი ოქროს მედალი აქვთ.

გაიმარჯვებენ თუ არა ხუთგზის ჩემპიონები მეექვსედაც? ადვილი შესაძლებელია, თუ „ფილის" მეგობრული და შედუღაბებული კოლექტივის ძალას გავითვალისწინებთ.

მიუხედავად ამისა, ახლა მოსალოდნელია უფრო მძაფრი ბრძოლა და შეუპოვარი მეტოქეობა სხვა გუნდებისგანაც. პირველ ყოვლისა ესენი არიან „სლავა" და კიევის სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტის კოლექტივი.

რეგბი ემოციური, ათლეტური თამაშია. მას ბევრი გულშემატკივარი და მოყვარული ჰყავს მთელს მსოფლიოში. სსრ კავშირში მარტო ოფიციალურ მატჩებში 10 ათასზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობს. ეს თითქოს ცოტა არ უნდა იყოს. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, კიდევ რამდენ კაცს სურს რეგბის თამაში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზით (მინდვრებისა და ინვენტარის უქონლობა, მაგალითად) ვერ ისრულებს სურვილს, საბჭოთა კავშირში ამ სახეობის პოპულარიზაციის დონე არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. საკავშირო სპორტკომიტეტი და რეგბის ფედერაცია ამ მიზნით ვერ იყენებენ მათს ხელთ არსებულ ყველა საშუალებას. აღარას ვამბობთ დამატებითს საშუალებათა ძიებაზე.

საინტერესოა, წავა თუ არა სპორტის ამ სახეობის გულშემატკივარი თამაშის სანახავად, თუ სარეკლამო პლაკატზე (რაც. სხვათა შორის, თითქმის არ არსებობს) ამოიკითხავს, რომ ჩემპიონატის მატჩში ერთმანეთს ხვდებიან კპი და ყბსუ? მე მგონია, რომ არ წავა... თუმცა, როგორც ალბათ უკვე მიხვდით, ესაა უმაღლესი ლიგის დებიუტანტი გუნდების — კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და ყაბარდო-ბალყარეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასახელება.

დიდი ფანტაზია არ არის საჭირო იმისთვის, რომ ამ გუნდებს, თუ სხვა სახელებს ვერ მოვუძებნით, „პოლიტექნიკი" ან „უნივერსიტეტი" მაინც დავარქვათ. თუმცა, რით სჯობს მათს დღევანდელ სახელებს კსაიი (კიევის სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტი) ან სსა (სამხედრო-საჰაერო აკადემია)?

უკვე ვთქვით, რომ რეგბისტებს სათამაშო მინდვრები არ ჰყოფნით. ისევე როგორც შარშან, წლეულსაც არიან გუნდები, რომლებმაც ზოგჯერ ჩემპიონატის სტარტამდე სამი დღით ადრეც კი არ იციან, სად მიიღებენ სტუმრებს.

სხვა კლუბებს აქვთ მოედნები, მაგრამ მათგან მხოლოდ ორ-სამს შეიძლება მინდორი ეწოდოს. დანარჩენებს მწვანე საფარი, ხელოვნური განათება, სადემონსტრაციო ტაბლო არა აქვს. ამ მხრივ საყვედურს პირველ ყოვლისა მოსკოვის საქალაქო სპორტკომიტეტი და დედაქალაქის სტადიონების მესვეურები იმსახურებენ.

კარგი ტრადიციაა: ქვეყნის ჩემპიონატის თამაშები მხოლოდ შაბათ-კვირას ტარდება, მაგრამ რატომ მაინცდამაინც საღამოს ექვს საათზე? ზაფხულში ეს ალბათ არ არის ცუდი დრო, მაგრამ რას იტყვით, კიევის სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტისა („სპარტაკი") და „სლავას" მატჩზე 3 ოქტომბერსაც ამავე დროს რომ მიეიწვიონ? ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, კალენდარშიც კი გარკვევით წერია: „მზე ჩადის 18 საათზე"...

მაშ ასე, გამარჯვების დღეს — 9 მაისს თბილისსა და ნალჩიკში ჩატარდება რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩები. წარმატება ვუსურვოთ ოვალური ბურთის ოსტატებს!

ვ. პიმენოვი,
ბ. მიხაილოვი.
(საქდესის კორ.).

მოსკოვი.

სპორტლოტო

მე-18 ტირაჟის შედეგები

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტლოტოს" და „სპორტლოტო-2"-ის მე-18 ტირაჟის (5 მაისი) შედეგები.

„სპორტლოტო": ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 3209 მანეთია (79 ბილეთი), ოთხისთვის — 65 (4735), სამისთვის — 3 (94646).

„სპორტლოტო-2": ექვსი ნომერი აქაც ვერავინ გამოიცნო. ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 2779 მანეთია (46 ბილეთი), ოთხისთვის — 50 (2574), სამისთვის — 3 (53779).

მოგებული თანხა გაიცემა 16 მაისიდან 16 ივნისის ჩათვლით.

(საქდესი).

რაგბი

საკავშირო ჩემპიონატის კალენდარი

პირველი წრე

9 მაისი. „სპარტაკი" (კიევი) — „ავტომობილისტი" (მოსკოვი), „ივერია" (თბილისი) — „სლავა" (მოსკოვი), „ლოკომოტივი" (თბილისი) — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემია (მოსკოვის ოლქი), კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (კპი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი), ყაბარდო-ბალყარეთის უნივერსიტეტი (ნალჩიკი) — „ფილი" (მოსკოვი).

16 მაისი. „ივერია" — „ავტომობილისტი", „ლოკომოტივი" (თბილისი) — „სპარტაკი", კპი — „სლავა", უნივერსიტეტი — სსა, „ფილი" — „ლოკომოტივი" (მოსკოვი).

22 მაისი. „ავტომობილისტი" — „ფილი".

23 მაისი. „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — უნივერსიტეტი, სსა — კპი, „სლავა" — „ლოკომოტივი" (თბილისი), „სპარტაკი" — „ივერია".

29 მაისი. „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ავტომობილისტი", სსა — „ფილი", „სპარტაკი" — კპი, „ივერია" — „ლოკომოტივი" (თბილისი).

30 მაისი. „სლავა" — უნივერსიტეტი.

5 ივნისი. „ფილი" — „სლავა", „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — სსა.

6 ივნისი. „ავტომობილისტი" — „ლოკომოტივი" (თბილისი), კპი — „ივერია", უნივერსიტეტი — „სპარტაკი".

12 ივნისი. სსა — „ავტომობილისტი", „სლავა" — „ლოკომოტივი" (მოსკოვი).

13 ივნისი. „სპარტაკი" — „ფილი", „ივერია" — უნივერსიტეტი, „ლოკომოტივი" (თბილისი) — კპი.

19 ივნისი. სსა — „სლავა".

20 ივნისი. „ავტომობილისტი" — კპი, უნივერსიტეტი — „ლოკომოტივი" (თბილისი), „ფილი" — „ივერია", „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „სპარტაკი".

26 ივნისი. „სლავა" — „ავტომობილისტი".

27 ივნისი. „სპარტაკი" — სსა, „ივერია" — „ლოკომოტივი" (მოსკოვი), „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ფილი", კპი — უნივერსიტეტი.

4 ივლისი. „ავტომობილისტი" — უნივერსიტეტი, „ფილი" — კპი, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი" (თბილისი), სსა — „ივერია", „სლავა" — „სპარტაკი".

მეორე წრე

11 ივლისი. „ავტომობილისტი" — „სპარტაკი", „სლავა" — „ივერია", სსა — „ლოკომოტივი" (თბილისი), „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — კპი, „ფილი" — უნივერსიტეტი.

17 ივლისი. „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ფილი".

18 ივლისი. „ავტომობილისტი" — „ივერია", „სპარტაკი" — „ლოკომოტივი" (თბილისი), „სლავა" — კპი, სსა — უნივერსიტეტი.

24 ივლისი. „ფილი" — „ავტომობილისტი".

25 ივლისი. უნივერსიტეტი — „ლოკომოტივი" (მოსკოვი), კპი — სსა, „ლოკომოტივი" (თბილისი) — „სლავა", „ივერია" — „სპარტაკი".

26 ივლისი — 20 აგვისტო შესვენებაა. ეს პერიოდი დაეთმობა სსრ კავშირის ნაკრების მზადებას და გაზეთ „სოციალისტიჩესკაია ინდუსტრიის" პრიზზე გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებას.

21 აგვისტო. „ავტომობილისტი" — „ლოკომოტივი" (მოსკოვი), „ფილი" — სსა, კპი — „სპარტაკი", „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ივერია".

22 აგვისტო. უნივერსიტეტი — „სლავა".

28 აგვისტო. „სლავა" — „ფილი", სსა — „ლოკომოტივი" (მოსკოვი).

29 აგვისტო. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ავტომობილისტი", „ივერია" — კპი, „სპარტაკი" — უნივერსიტეტი.

4 სექტემბერი. „ავტომობილისტი" — სსა, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „სლავა".

5 სექტემბერი. „ფილი" — „სპარტაკი", უნივერსიტეტი — „ივერია", კპი — „ლოკომოტივი" (თბილისი).

11 სექტემბერი. „სლავა" — სსა.

12 სექტემბერი. კპი — „ავტომობილისტი", „ლოკომოტივი" (თბილისი) — უნივერსიტეტი, „ივერია" — „ფილი", „სპარტაკი" — „ლოკომოტივი" (მოსკოვი).

13-24 სექტემბერი. სსრ კავშირის ნაკრები გუნდის მზადება და ბულგარეთის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობა.

25 სექტემბერი. „ავტომობილისტი" — „სლავა".

26 სექტემბერი. სსა — „სპარტაკი", „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ივერია", „ფილი" — „ლოკომოტივი" (თბილისი), უნივერსიტეტი — კპი.

3 ოქტომბერი. უნივერსიტეტი — „ავტომობილისტი", კპი — „ფილი", „ლოკომოტივი" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი), „ივერია" — სსა, „სპარტაკი" — „სლავა".

გოლი და პიროვნება

არ ვიცი, ვინ და როდის შემოიღო ფეხბურთის ღირსების საზომად გატანილი გოლების რიცხვი. თუ მეტი გოლი გავიდა — თამაში კარგია, თუ ნაკლები — ცუდი. ის, რომ გოლი მატჩის კულმინაცია და მისი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია, რასაკვირველია, ეჭვს არ იწვევს. მაგრამ ისიც ხომ ცნობილია, რომ ფეხბურთის ხანგრძლივ ისტორიაში ასე თუ ისე თანაბარი, კვალიფიციური გუნდების მატჩებში ძალიან ხშირად გვხვდება ანგარიში 1:0. სსრ კავშირის ჩემპიონატები კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ წესს. და ამაში არაფერია საეჭვო, ცუდი, რადგან ფეხბურთს თავისი საკუთარი კანონები აქვს, თავისი შედეგების არითმეტიკა. გოლი ფეხბურთში უჩვეულოდ ძვირად ფასობს. ჭეშმარიტმა გულშემატკივარმა იცის მისი ლოდინი და ნამდვილი ტკბობა ბრძოლის უკლებლივ ყველა მომენტის განცდით.

სწორედ ეს ბრძოლაა საფეხბურთო სანახაობის ყველაზე საიმედო გარანტია. ვერც მშვიდად, „მაყურებლისთვის" გათამაშებული ულამაზესი კომბინაციები, ვერც იოლად მოპოვებული დიდი სხვაობა ანგარიშში განცდათა მორევში ვერ შეგვიყვანს. ამ განცდებს იწვევს მხოლოდ ბრძოლა. ასე რომ, გოლების რიცხვმა, ჩემი აზრით, შეიძლება მხოლოდ შეავსოს ფეხბურთის დახასიათება, მაგრამ მის შესაფასებლად არ გამოდგება. ეს ძალიან გაამარტივებდა თამაშის ჩვეულ აღქმას.

ზემოთქმულის დასტურად გამოდგება ოთხშაბათ-ხუთშაბათს ჩატარებული სსრ კავშირის თასის გათამაშების ტური. ხუთი მატჩიდან ოთხი დამთავრდა ანგარიშით 1:0. ეჭვი არ მეპარება, რომ ეს მატჩები უფრო საინტერესო იქნებოდა, ვიდრე თბილისის „დინამოს" და „ზენიტის" შეხვედრა, რომელიც დამთავრდა ანგარიშით 3:0.

საფეხბურთო კალიგრაფიის მკაცრ შემფასებელს უფლება აქვს საყვედური გამოთქვას „ლოკომოტივისა" და „არარატის" მატჩის ხარვეზების გამო. სამაგიეროდ, მატჩის 120 წუთის მანძილზე (დამატებითი დრო დაინიშნა) მაყურებელი დაინტერესებული და დაძაბული იყო. ორივე გუნდი თამაშობდა თასისთვის ბრძოლის ყველა კანონის დაცვით — გამარჯვებამდე. ამიტომ მაყურებელთაგან სტადიონზე გატარებულ საათებს დაკარგულად ალბათ ვერავინ ჩათვლიდა.

ამ მატჩში თვალში საცემი იყო ერთი განსაკუთრებული გარემოება: „ლოკომოტივი" იმედს ძირითადად ამყარებდა სიომინზე, რომელმაც ახლახან ეფექტურად გაიტანა ორი გოლი „სპარტაკის" კარში ჩემპიონატის შეხვედრაში. „არარატი" კი, სადაც გამოჩნდა რამდენიმე ნიჭიერი, მაგრამ ჯერ კიდევ ნაკლებად გამოცდილი ახალგაზრდა ფეხბურთელი, როგორც მუდამ, ძირითადად ანდრეასიანს ეყრდნობოდა.

სიომინი პირდაპირი, უეშმაკო მოთამაშეა და არ შეიძლება ზოგჯერ ხელი არ მოეცაროს. ანდრეასიანს, ტექნიკურ, ეშმაკ მოთამაშეს შეუძლია მრავალმხრივ სასარგებლო იყოს გუნდისთვის — კიდეც მოამზადოს და კიდეც გაიტანოს გოლი, თვითონ მიიქციოს მეტოქეთა ყურადღება. ამ მატჩში იგი ბევრს დარბოდა მინდორზე და დასასრულ ოსტატურად გადასცა ბურთი მცველის ზურგს უკან თავის ახალგაზრდა პარტნიორს ხალაიჯიანს. ამ უკანასკნელმა მშვიდად მიაწოდა ბურთი ლაზარიანს თავური დარტყმისთვის. როგორც ხედავთ, ანდრეასიანს საგოლე გადაცემაც არ გაუკეთებია, მაგრამ მისი გადაცემის გარეშე გოლი არ გავიდოდა.

ფეხბურთი ხომ, ყოველივე დანარჩენის გარდა, მთელი გუნდის ერთობლივი მონდომებისა და პიროვნების როლის იდეალური შერწყმითაც გვიპყრობს. ერთ მოთამაშეს, თუნდაც ვარსკვლავიც იყოს, არ შეუძლია გუნდს გამარჯვება მოუტანოს. ასევე, მოთავე პარტნიორის გარეშე დარჩენილი გუნდის სხვა წევრები ხშირად იძულებული არიან ეძებონ თამაშის ვარიანტები, ეძებონ დიდხანს, წვალებით, თუ ამაოდ არა. ეს გამახსენდა, როცა დავხედე ჩემპიონატის ცხრილს, სადაც ბოლო ადგილებზე არიან მოსკოვის „სპარტაკი" და „ტორპედო". შეიძლება ეს ზოგისთვის სიურპრიზი იყოს, მაგრამ, ჩემი აზრით, ამაში გასაკვირი არაფერია.

„ტორპედო" ერთხანს თამაშს აშენებდა სმირნოვის ირგვლივ, რომელსაც ბევრი გოლი გაჰქონდა. მერე იგი ამ როლში ნიკონოვმა შეცვალა, შემდეგ — მაქსიმენკოვმა. ახლა გუნდს ეს მოთამაშეები აღარ ჰყავს, თანაც, სახაროვი ნაკრებშია. ასე რომ, „ტორპედოს" კრიზისი გასაკვირი არ არის. ზუსტად ასეთივე მდგომარეობაა „სპარტაკში", რომელმაც მოკლე დროში დაკარგა ოლშანსკი, მინაევი, პროხოროვი და ნაკრების მოთამაშე ლოვჩევი. შევნიშნავ, რომ ყველა მათგანი „33 საუკეთესოს" რიცხვშია. ესე იგი, ისინი მართლა მოწინავენი არიან და მათი შეცვლაც არ არის იოლი.

თითქოს ამ გაჭირვებაში მყოფი კლუბების საწინააღმდეგოდ, თამაშის სრულყოფისთვის სასურველი პირობები შექმნათ დედაქალაქის „დინამოს" და ცსკა-ს. შეიძლება ითქვას, რომ ახლა ორივე ამ გუნდს მდიდარი არჩევანი აქვს. მათი რეზერვიც საიმედოა. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია მწვრთნელთა მონდომებაზე, ყველა იმ სამსახურის შეთანხმებულ მუშაობაზე, რომელთაც გუნდების დახმარება ევალებათ. ჩემი აზრით, ეს ორი კლუბი წლევანდელ თუ არა, მომავალ სეზონში მაინც გაუწევს მეტოქეობას კიევის „დინამოს". ამან შეიძლება გამოასწოროს მდგომარეობა საბჭოთა ფეხბურთში. დღესდღეობით კი არ შეიძლება ითქვას, რომ მდგომარეობა ნორმალურია, რადგან მეტისმეტად დიდი მოვალეობა დააწვა ერთადერთ ლიდერს, ამას ბევრი რამ შეეწირა მსხვერპლად, მათ შორის ქვეყნის ჩემპიონატიც კი, კიეველ ფეხბურთის მოყვარულთა ინტერესებიც კი — მინსკის „დინამოსთან" თავისი გუნდის მეორე შემადგენლობის მატჩის სანახავად სტადიონზე 7 ათასი კაცი მოვიდა. ქვეყნის ჩემპიონს ძირითადი შემადგენლობით რომ ეთამაშა, შეხვედრას სულ ცოტა 60 ათასი მაყურებელი დაესწრებოდა.

ცსკა-ს და მოსკოვის „დინამოს" მატჩი თამაშის შინაარსით საგაზაფხულო ექსპერიმენტული ჩემპიონატის ბევრ შეხვედრაზე მაღლა იდგა. არც ერთ მათგანს თავისი ტაქტიკური შესაძლებლობები არ ამოუწურავს, მაგრამ იგრძნობოდა, რომ საიმედო კოლექტივები არიან. ყველაზე მიმზიდველი კი ამ მატჩში ის იყო, რომ შეხვედრა ორივე მხარემ მძაფრად ჩაატარა, ორივე გამარჯვებისთვის იბრძოდა. ეს მეტყველებს, რომ ორივე გუნდს აქვს საკუთარი ღირსების გრძნობა, რაც უმაღლესი კლასის ყველა კოლექტივს უთუოდ უნდა ახასიათებდეს.

ლ. ფილატოვი,
საქდესის სპორტული მიმომხილველი.

ფეხბურთი

სანქციები მსაჯთა მიმართ

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმმა ამ დღეებში იმსჯელა იმ დარღვევებზე, რაც ჩვენი არბიტრების საქმიანობაში ხდებოდა, და კონკრეტულ ღონისძიებებს მიმართა დამნაშავეთა მიმართ.

თელავის „ნადიკვარისა" და თბილისის უნივერსიტეტის გუნდების შეხვედრის არაკვალიფიციური მომსახურებისთვის 2 თვით დისკვალიფიცირებულია რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

ერთი წლით პირობითი დისკვალიფიკაცია მიეცა რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯს თ. აბუთიძეს (ქუთაისი), რომელმაც უარი განაცხადა საკავშირო გათამაშების მატჩი ჩაეტარებინა თერმეზში.

ორი თვით აეკრძალა მსაჯობა ქუთაისელ მ. ლოსაბერიძეს, რომელმაც ხელი მოაწერა თამაშის ტექნიკურ ოქმს, თუმცა შეხვედრა ფაქტიურად სხვა არბიტრმა ჩაატარა.

რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯმა გ. პოლოსიანმა (სოხუმი) მინდვრიდან გაძევებულ ფეხბურთელს არ ჩამოართვა პირადი ბარათი, რისთვისაც მიეთითა. საყვედური გამოეცხადა თბილისელ ვ. ეჯიბიას გორში საკავშირო გათამაშების მატჩზე დაგვიანებისთვის.

ჩვენი მოძმე რესპუბლიკებში

ახალ ოლიმპიელთა მოსამზადებლად

ნახევარი ფეხბურთის მინდვრის ზომის სათამაშო დარბაზი, უახლესი სინთეზური საფარით დაფარული სარბენი ბილიკები, ურთულესი თანამედროვე ელექტრონული ტექნიკა—ასეთია, ყირგიზეთში პირველი დახურული მძლეოსნური მანეჟი, რომელიც ფრუნზეში აიგო. მანეჟში გამოყოფილია ადგილები სიმაღლეზე და ჭოკით ხტომისთვის, მთელი კომპლექსი სპორტსმენის ძალის აღსადგენად.

— ახალი მანეჟი მსოფლიო სტანდარტებს შეესაბამება. ყირგიზეთის სპორტსმენებს ახლა საშუალება აქვთ მთელი წლის მანძილზე შეინარჩუნონ სათანადო სპორტული ფორმა,—ამბობს სსრ კავშირის ჩემპიონი, ცნობილი მძლეოსანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ოტო ბარჩი. — ახლა ფრუნზეში შეიძლება ჩატარდეს ნებისმიერი რანგის შეჯიბრება, მათ შორის საერთაშორისოც.

ბოლო ორ წელიწადში რესპუბლიკის დედაქალაქში აიგო ლენინის სახელობის სასახლის სპორტული კომპლექსი, საცხენოსნო-სპორტული სკოლის მანეჟი, ელინგი, მრავალი და ადგილიდან სროლის სტენდები, ძალოსნობის დარბაზი და სხვა კაპიტალური ნაგებობანი. მატერიალური ბაზის განმტკიცებამ ყირგიზეთის დედაქალაქის სპორტსმენთა რიგებისა და ოსტატობის ზრდა განაპირობა. ამ რესპუბლიკის წარმომადგენლები საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ბოლო ოთხ ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდნენ.

ჰ. ზინინი.

ფრუნზე.

ახალი სამთო მარშრუტებით

მეოთხე რესპუბლიკური ალპინიადა დასავლეთ საიანის ერთ-ერთ უსახელო მწვერვალზე მოწყობილი მასობრივი ასვლით დამთავრდა. მონაწილეებმა იერიში მიიტანეს 3662 მ სიმაღლის პიკზე.

რესპუბლიკურ ალპინიადაში მონაწილეობდა ასზე მეტი კაცი — ტუვის სამრეწველო ქალაქების, სასოფლო სექციების, უმაღლესი და საშუალო სასწავლებლების წარმომადგენლები.

რ. კოზმინი.

კიზილი,
ტუვის ასსრ.

კინო მთებში მიდის

„ლენფილმის“ კინემატოგრაფისტთა შემოქმედებითი ჯგუფი, რომელმაც დაამთავრა მუშაობა მხატვრულ კინოსურათზე „სანამ მთები დგანან“, „სსრ კავშირის ალპინისტის“ სამკერდე ნიშნებით დაჯილდოვდა. დათოვლილი მწვერვალების იერიში ფილმის გმირებისა და შემქმნელების ცხოვრებაში მეორე მოწოდებად იქცა. განსაკუთრებით დიდი სტაჟი აქვს მთამსვლელობაში ფილმის დამდგმელ რეჟისორს ვადიმ მიხაილოვს, რომელიც მწვერვალზე პირველად 27 წლის წინათ ავიდა.

— მთები და კინო — რამდენიმე თვის მანძილზე ამ ორ მშობლიურ სტიქიაში ვცხოვრობდი, — გვიამბობს რეჟისორი. — ფილმის სიუჟეტი ცხოვრებიდანაა აღებული. ცენტრალური კავკასიონის ერთ-ერთ ხეობაში მთაში ოთხნი წავიდნენ და უკან სამნი დაბრუნდნენ. მეოთხეს უბედურება შეემთხვა, მაგრამ, როგორც გამოირკვა, მისი გადარჩენა შეიძლებოდა, მასთან ერთად მიმავალთ შიში რომ დაეძლიათ. არ შეიძლება მთამსვლელის სახელს ატარებდეს ის, ვინც ყოველ წუთს მზად არ არის ამხანაგის დასახმარებლად.

ფილმში მონაწილეობენ მსახიობები მ. ტერეხოვა, გ. ტრეტიაკოვი, ი. სოლოვიოვი...

ო. სერდობოლსკი.

ლენინგრადი.

ახალგაზრდა ქალაქის სპორტსმენებისთვის

ახალგაზრდა ქალაქ ტალიმარჯანში ახალი სტადიონი გაიხსნა. ტრიბუნები სამი ათას მაყურებელს იტევს. ახალ ბაზას აქვს ფეხბურთის მინდორი, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, სარბენი ბილიკები, ტირი და, რაც ყველაზე სასიამოვნოა ამ მკაცრი მხარის მცხოვრებთათვის, საცურაო აუზი.

კ. ზაიმერჯანკულოვი.

კერკი,
თურქმენეთის სსრ.

მოჭადრაკეთა თასის გათამაშება

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა საქართველოს თასის გათამაშება შაშში სპორტსაზოგადოებათა კოლექტივებს შორის. ორწრიან შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „ბურევესტნიკის“, „განთიადის“, „კოლმეურნის“, „ლოკომოტივისა“ და „სპარტაკის“ გუნდები. თითოეულ კოლექტივში იყო სამი ვაჟი და ერთი ქალი ასუჯრიან შაშში და სამი ვაჟი რუსულ შაშში.

I ადგილი დაიკავა „სპარტაკმა“ (ოსტატობის კანდიდატები — სოხუმელები კ. ივაშჩენკო, ვ. რომანოვი, ი. მოროზოვი, ო. ბოიკო, ცხინვალელები ვ. გობოზოვი, ნ. ლიტვინოვი) — 37,5 ქულა 56-დან.

34 ქულით II ადგილზეა „განთიადის“ კოლექტივი. III ადგილი „კოლმეურნის“ გუნდმა დაიკავა, რომელმაც 25,5 ქულა დააგროვა.

რუსულ შაშში უძლიერესის სახელი მოიპოვა ცხინვალელმა პედაგოგმა, ვ. გობოზოვმა — 7 ქულა 8-დან. II ადგილი ხვდა ოსტატობის კანდიდატ ა. ბერუაშვილს („განთიადი“, თბილისი), III — ოსტატ თამაზ ბარამიძეს („განთიადი“, თბილისი) — 6-6 ქულა 8-დან.

ქალთა შორის ყველას აჯობა თბილისელმა მოსწავლემ, ოსტატობის კანდიდატმა მ. მოსიძემ.

ასუჯრიან შაშში I ადგილი დაიკავა თბილისის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის უმცროსმა მეცნიერთანამშრომელმა ზ. ქიტუაშვილმა („ბურევესტნიკი“) — 5,5 ქულა 8-დან. მან დაამარცხა ოსტატები გ. ბარამიძე, თენგიზ ბარამიძე და საქართველოს ექს-ჩემპიონი, ოსტატობის კანდიდატი ა. ჩარგეიშვილი (ორივე — „განთიადი“). მართალია, ოსტატებმაც 5,5-5,5 ქულა მოაგროვეს, მაგრამ მათ კოეფიციენტთა ცხრილით უარესი მაჩვენებლები აღმოაჩნდათ.

შეჯიბრებას ექსპერიმენტული ხასიათი ჰქონდა. ყოველ მომდევნო ტურში მოშაშეები დაფებთან სათამაშოდ სხდებოდნენ ამ ტურამდე დაგროვილი ქულების შესაბამისად, რაც პაექრობას ინტერესს მატებდა.

თასის გათამაშების შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება საქართველოს ნაკრები გუნდი, რომელიც ზაფხულში საკავშირო გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.

ს. ველთაური,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
ოსტატობის კანდიდატი.

ს. თომაშვილი,
სპორტის ოსტატი.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ბრაზილიელი ვეტერანი ჟოზე ალტაფინი იტალიის ჩემპიონ „იუვენტუსის“ (ტურინი) სათადარიგო მოთამაშეა. მაგრამ, როცა გუნდს ძალიან უჭირს, მინდორზე ალტაფინის გამოსვლისთანავე ვითარება იცვლება — იგი მინდორზე ცოტა ხანს რჩება, მაგრამ უგოლოდ სარბიელს იშვიათად ტოვებს. ალტაფინი გუნდის გაჭირვების ტალკვესად იქცა და, როცა ტურინელი გულშემატკივრები იწყებენ სკანდირებას: „ალ-ტა-ფინი“, მწვრთნელს უმალ გამოჰყავს ვეტერანი მინდორზე. ასე მოხდა იტალიის ჩემპიონატის XXV ტურის მატჩშიც: „იუვენტუსი“ — „ასკოლი“. ანგარიში დიდხანს იყო 1:1, მაგრამ მინდორზე გამოჩნდა ალტაფინი, გაიტანა გადამწყვეტი გოლი და ჩემპიონმა გაიმარჯვა — 2:1.

• • •

სურათზე: ალტაფინის გადამწყვეტი გოლი გააქვს „ასკოლის“ კარში.

სტარტზეა მშვიდობისველორბოლა

პრაღა, 7 მაისი. (საკდესის კორ. ვ. ბესკრომნი). გაზაფხულის მზით გასხივოსნებული ქალაქი გულთბილად ეგებება მშვიდობის 29-ე ველორბოლის მონაწილეებს. ხვალ ეს შეჯიბრება საზეიმოდ აიღებს სტარტს საბჭოთა ტანკისტთა მოედანზე — პირველ ტანკთან, რომელიც 1945 წლის 9 მაისს პრაღაში შეიჭრა. ტრასა ასეთია: პრაღა — ვარშავა — ბერლინი.

მშვიდობის ველორბოლის დაბადების დღე 1948 წლის 1 მაისია, ადგილი — პრაღა. პირველ შეჯიბრებაში მხოლოდ ხუთი ქვეყნის 55 სპორტსმენი მონაწილეობდა. თანდათან მშვიდობის ველორბოლამ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მსოფლიო სპორტის კალენდარში. მის მნიშვნელობასა და მაღალ მისიას ნათლად ადასტურებს ის ფაქტიც, რომ გამარჯვებულს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თასი გადაეცემა. ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის (უსი) პრეზიდენტი, იტალიელი ადრიანო როდონი, რომელიც, ტრადიციისამებრ, ყოველწლიურად ხსნის შეჯიბრებას, ამბობს: „მშვიდობის ველორბოლა ხელს უწყობს ჩვენი პლანეტის მილიონობით ადამიანის სწრაფვას მშვიდობისკენ. ველოსიპედისტებისგან ხშირად გამიგონია, ჩვენ ბევრი რამ გვასწავლა ამ შეჯიბრებამო; ამ ტურნირის დროს თავს ვგრძნობთ ერთ დიდ ოჯახად, სადაც მეფობს არა მარტო სპორტული, არამედ ჭეშმარიტად მეგობრული სულისკვეთებაც“.

წლევანდელი ველორბოლა კვლავ ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში იღებს სტარტს. სარბიელზე გამოვა 19 ქვეყნის — პოლონეთის, ბულგარეთის, ფინეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, დიდი ბრიტანეთის, გფრ-ის, ჰოლანდიის, შვეციის, გდრ-ის, შვეიცარიის, იტალიის, საფრანგეთის, ნორვეგიის, საბჭოთა კავშირის, უნგრეთის, კუბის, ბელგიისა და იუგოსლავიის 114 სპორტსმენი.

ტრასაზე 14 ეტაპია. რიგ-რიგი სტარტით შეჯიბრება გაიმართება პრაღაში, ვარშავაში, ფორსტში. ფინიში 24 მაისს მოეწყობა ბერლინში.

წლევანდელი შეჯიბრების განსაკუთრებულ დაძაბულობას მოწმობს გუნდების მიერ უკვე გამოცხადებული ოფიციალური შემადგენლობანი. მაგალითად, პოლონეთის ნაკრებში ოთხი მსოფლიო ჩემპიონია — სტანისლავ შოზდა, ტადეუშ მიტნიკი, მეჩისლავ ნოვიცკი და იანუშ კოვალსკი.

მიმომხილველთა აზრით, გუნდურ შეჯიბრებაში მთავარი ბრძოლა კვლავ სსრ კავშირის, პოლონეთის, გდრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის ნაკრებ კოლექტივებს შორის გაჩაღდება. პირად შეჯიბრებაში არ მონაწილეობს ამ რბოლაში ოთხგზის გამარჯვებული, პოლონელი სპორტსმენი რიშარდ შურკოვსკი, რომელიც ოლიმპიური თამაშებისთვის ემზადება. ამიტომ წარმატების პრეტენდენტი საკმარისზე მეტიცაა.

საბჭოთა ნაკრებში, რომელმაც შარშან საიუბილეო, მეათე გამარჯვება მოიპოვა, იმ შემადგენლობიდან დარჩა მხოლოდ კუიბიშეველი ალექსანდრე გუსიატნიკოვი. ერთ წელიწადს „შესვენების“ შემდეგ კვლავ აიღებს სტარტს ნიკოლოზ გორელოვი (მოსკოვის ოლქი). ამ ორ „ვეტერანს“ მწვრთნელი ვიქტორ კაპიტონოვი გუნდის დირიჟორთა როლს აკისრებს, რადგან დანარჩენები დებიუტანტები არიან. სსრ კავშირის ნაკრების მაისურებს პირველად ჩაიცვამენ მოსკოველი ბორის ისაევი, ლენინგრადელი სერგეი მოროზოვი, ტაშკენტელი მიხეილ პერვეევი და ლვოველი იური ზაიაცი. ეს უკანასკნელი გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრია — 20 წლისაა. შარშან მან მოიგო საკავშირო პირველობა იუნიორთა შორის.

[illegible]

მოკლედ...

მშვიდობის XXIX ველორბოლამ სტარტი აიღო ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

[illegible]

ორიგინალური ხერხით...

ნიუ იორკი. (საკდესი). 34 წლის მიჩიგანელმა მოქანდაკემ დონალდ ტიბოდომ სამსჯავროზე გამოიტანა თავისი ბოლო ნამუშევარი — პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონის მუჰამედ ალის სკულპტურა, გაკეთებული დამტვრეული ავტომანქანების ბამპერებისგან. ამ „ხელოვნების ნიმუშის“ საერთო წონა 686 კილოგრამია.

მისი გულ-მკერდი გაკეთებულია „კრაისლერისგან“, ზურგი — „კადილაკისგან“, ფეხები — „ფორდისგან“, ხელები — „ფოლკსვაგენისგან“.

სკულპტურის სიმაღლე 2,74 მეტრია. ალი გამოსახულია მარჯვენა ხელით დარტყმის მომენტში.

თავად სკულპტორი კრივის დიდი მოყვარული და მუჰამედ ალის თაყვანისმცემელია. 19 წლისა რომ იყო, ტიბოდომ II ადგილი დაიკავა ტურნირში „ოქროს ხელთათმანები“ — აშშ-ს არაოფიციალურ ჩემპიონატში მოყვარულთა შორის. ალის სკულპტურისთვის მან 87 დამტვრეული მანქანის ნაწილები გამოიყენა. ტიბოდო „შეთავსებით“ „ავტომანქანების სასაფლაოს“ მეპატრონეცაა.

უჩვეულო რეკორდები

ჟენევა. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლა სუისი“ იუწყება, საფრანგეთის ორმა „ეკიპაჟმა“ ორადგილიანი დელტოპლანით („მფრინავი სამკუთხა ფრთა“) ფრენაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა. სპორტსმენებმა სტარტი აიღეს მონბლანის მწვერვალიდან (4807 მეტრი ზღვის დონიდან) დილის 10 საათზე, ხოლო დაეშვნენ 11 საათსა და 15 წუთზე (პირველი წყვილი) და 11 საათსა და 30 წუთზე (მეორე) სამთო კურორტ შამონის (საფრანგეთი) ცენტრში, 1050 მეტრ სიმაღლეზე.

პირველ „ეკიპაჟში“ შედიოდნენ ალენ პაშოტი და ჟენევიევა ექსტრა-ვია, მეორეში — სერჟ კარდო და აგნეს მასბიუფი. ისინი მონბლანზე აიყვანეს ფირმა „ელიალპის“ „ლამის“ ტიპის შვეულმფრენით.

— ასე გვეგონა, ზღაპარში ვიყავით, თუმცა, ეს ზღაპარი უფრო გრძელი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენ მოველოდით, — ამბობენ რეკორდსმენები.

ჩრდილოეთის ქარმა, რომელიც საათში 60-70 კილომეტრი სიჩქარით ქროდა, ფრანგებს საშუალება მისცა სტარტის ადგილიდან 300-400 მეტრზე, ესე იგი 5000 მეტრს ზევით ასულიყვნენ. სპორტსმენებს ძლიერ შესცივდათ მონბლანზე, თუმცა ყინვა 10 გრადუსამდე იყო.

[illegible]-76

● პენზა, 7 მაისი. უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებისთვის პირველ გადასასვლელ მატჩში დღეს აქ ერთმანეთს შეხვდნენ პირველი ლიგის გუნდების ჰოკეისტთა საკავშირო შეჯიბრებაში II ადგილზე გასული ადგილობრივი „დიზელისტი“ და უმაღლესი ლიგის სატურნირო ცხრილში მეცხრე სტრიქონზე მყოფი ლენინგრადის ასკ. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 6:3.

● კლუჟი, 7 მაისი. აქ გრძელდება რუმინეთის თასის ღია გათამაშება წყალბურთში. შეჯიბრებას ლიდერობს უნგრეთის ნაკრები, რომელმაც ოთხივე მატჩი მოიგო. მომდევნო ტურებში უნგრელებმა დაამარცხეს მასპინძელი ქვეყნის პირველი ნაკრები (4:3) და კუბის ეროვნული გუნდი (8:4). სსრ კავშირის გუნდსა და რუმინეთის პირველ ნაკრებს 4-4 ქულა აქვთ. საბჭოთა წყალბურთელებმა პირველ ტურში ავსტრალიელებთან გამარჯვების გარდა მესამე ტურში ბულგარელებს აჯობეს — 8:4.

„ლოკომოტივის“
სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

ᲠᲐᲒᲑᲘ

სსრ კავშირის
პირველობა

ᲣᲛᲐᲚᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐ

9 მაისს

„ლოკომოტივი“ (თბილისი)—
სსა (მოსკოვის ოლქი)
დასაწყისი 16 ს.

„ივერია“ (თბილისი) —
„სლავა“ (მოსკოვი)
დასაწყისი 18 ს.

ბილეთები იყიდება სტადიონის სალაროებში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02284